

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდურ სიფყვას, ცყვილებით და ჩაბრებით ბუდის გაფანა ყველა უკადრისდაზღუდვასაგულსია.

დაარსებულია 1918 წელს.
სუთხაბათი, 24 თბთოგბარი, 2013 წელი.
№204 (7331)


რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს 2



ჩვენ გვჯერა, რომ არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში თქვენ ყოველმხრივ შეეცდებით, შექმნათ ისეთი ცივილიზებული გარემო, რომ ხალხმა აირჩიოს სწორედ ის, ვისაც მეტად ენდობა პირადი თვისებების – ნიჭის, ეროვნულობის, პროფესიონალიზმის, გამოცდილების, პრინციპულობის და დღევანდელ ვითარებაში პოლიტიკოსისათვის საჭირო ქმედითუნარიანობის გათვალისწინებით.



რამ ბააჩინა წყალმანკი?

ორი კითხვა ენაზე გამოგულ უნარბილმომოდ მოლაქლაქე უბიფარ-უაასუხისგბაგლო გნასმოქალთა (და არა მარტო იმათ!) საყურადღებოდ!

დღის ამფრაზურიდან

ღაპით ბაქრაქმს ჯერ თაგვჯლომარმოგაზე არ უბია პასუხი და ასლა პრეზიდენტობა მოგვინდომა...



ღიალოგი თბილისის მებროპოლიტანევი
- ამ ნაციონალეზმა მართლა ძალიან უნამუსოდ გაუტიეს...
- ეგრეა, გენაცვალე, როცა ძველი უკუღმართობისთვის პასუხს არ გაგებინებენ, ხალხი ბრმად და ყრუდ გეჩვენება.
- განა ბაქრაქმის მხრივ დიდი უნამუსობა არ არის, ახლა პრეზიდენტობა რომ მოგვინდომა?..
- მაგ ცოდვიშვილს ჯერ სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ერთად ჩადენილ დანაშაულთა არაერთტონიანი ტვირთი უნდა ჩამოეხსნა და

ქვეყნის ახალ ლიდერობაზე მერე ეფიქრა...
- მაგათ, ჩემო ძმაო, ამერიკა უჭერს მხარს, თორემ ამდენს როგორ გაბედავდნენ.
- რახან ხელისუფლებამ ჯერჯერობით პასუხი არ აგებინა, 27 ოქტომბერს თვითონ ხალხმა უნდა გამოუტანოს განაჩენი. მაგათივე ტერმინი რომ ვიხმაროთ, იმედია, ცხრა წლის მანძილზე ნაციონალთაგან გატანული მოსახლეობა ნულოვანი ტოლერანტობით მიუდგება ბაქრაქმის კანდიდატურას და ნული პროცენტით აირჩევს პრეზიდენტად...
- თუ საქართველო, ბოლოს და ბოლოს თავის დონეზეა, დიასაც ეგეთი დამოკიდებულება უნდა გამოავლინოს ნაციონალების მიმართ.
- მჯერა, რომ ეგრეც იქნება.
- ამის მერე, ალბათ, ბუნებრივად დადგება მაგათი პასუხისმგებლობის საკითხიც.

გოგლა უვანია:
ჩემი ძმა უიზიკურად მოკლეს და მოკლურადას ბაანადგურეს! 9

გაირღებით, კალიან გალე დადგაა სააკაშვილის პასუხისგბაგლოზის საკითხი

ასალი პრეზიდენტი საქართველოსთვის

ვინ უესვლის მიხეილ სააკაშვილს? 8



5 მორიბი უესპედრიდან გამოტანილი დასკვნები

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

საქსის სა

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ღრმად პატივცემულ ბატონო ბიძინა!

რამდენიმე დღეში საპრეზიდენტო არჩევნებია. ინტერესი მის მიმართ განსაკუთრებით დიდია, როგორც უცხოეთში, ასევე, რაც მთავარია, საქართველოში.

ხალხი ელოდება დემოკრატიულ არჩევნებს. ხალხი ელოდება სამართლიანობის დამკვიდრებას და ქვეყნისთვის უმძიმესი შედეგების მომტანი ცხრანლიანი რეჟიმისაგან საბოლოოდ განთავისუფლებას.

ჩვენ მივესალმებით თქვენს განცხადებას, რომ მიმდინარე არჩევნები ევროპულ დონეზე ჩატარდება. საზოგადოება ელოდება და მზადაა, ჩაერთოს თქვენს მიერ წამოწყებულ რეალურ, მოჩვენებითობას მოკლებულ აღმშენებლობის პროცესში.

უმძიმესი სულიერი და ფიზიკური დარტყმისაგან გადაღლილი ქვეყანა ითხოვს შელახული ღირსების აღდგენას და დამნაშავეთა კანონიერად დასჯას. ვიმეორებთ – ერის, კონკრეტული ადამიანების გამაუბედურებელთა კანონიერ გასამართლებას.

ეს მოთხოვნა იყო შარშანაც, რაც არაერთხელ ითქვა თქვენს წინასაარჩევნო გამოსვლებში და უფრო მძაფრად იგივეს ითხოვს საზოგადოება

დღესაც, რადგან ე.წ კოჰაბიტაციამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, სამწუხაროდ, სრულიად საფუძვლიანი ეჭვები და იმედგაცრუება გააჩინა. ესეც რეალობაა!..

ჩვენ გვჯერა, რომ არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში თქვენ ყოველმხრივ შეეცდებით, შექმნათ ისეთი ცივილიზებული გარემო, რომ ხალხმა აირჩიოს სწორედ ის, ვისაც მეტად ენდობა პირადი თვისებების – ნიჭის, ეროვნულობის, პროფესიონალიზმის, გამოცდილების, პრინციპულობის და დღევანდელ ვითარებაში პოლიტიკოსისათვის საჭირო ქმედითუნარიანობის გათვალისწინებით.

საზოგადოება ითხოვს, რომ არ გაყალბდეს ამომრჩეველთა ხმები. ეს მოხდა ერთი წლის წინათაც, როცა პარლამენტში მოხვედრილი ოპოზიციონერთა რაოდენობა სრულებითაც არ ასახავდა რეალურ ვითარებას.

საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სამართლიანად ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უთუოდ უნდა მოჰყვეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

ბატონო ბიძინა, შესანიშნავად მოგესხენებათ, რომ შარშანდელ არჩევნებზე ხალხი პირადად თქვენ გენდოთ, პირადად თქვენ გამოგიცხადათ ნდობა

და არა ურეიტინგო პარტიებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს. ხელისუფლებიდან თქვენი მართლაც დასაბრუნებელი ნაწილის შემთხვევაში პარლამენტი ნამდვილად დაკარგავს ლეგიტიმაციას, რადგან იგი ვერ იქნება საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი.

ბატონო ბიძინა! იმედი გვაქვს, რომ თქვენ იქნებით ხალხთან, რადგან სააკაშვილის დამლუპველი რეჟიმისგან გამწარებული ხალხი თქვენთანაა...

ვიმეორებთ, მხოლოდ თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები გააჩენს მეტ იმედს, გააძლიერებს საქართველოს და თავიდან აგვაცილებს არასასურველ მოვლენებს.

იმედით, რწმენით აღსავსე ხალხის გარეშე ვერანაირი ძალა და კოალიცია ვერ გაამთლიანებს საქართველოს.

პაგივისცემით:
ნონა გაფრინდაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, მარიკა ლომთაძე, ოთარ ჯაფარიძე, ელიზბარ ჯავახიძე, როინ მატყაძე, რეზო ამბუშაძე, ვიქტორ ჯაფარიძე, თეიმურაზ გუგუშვილი, რეზო მსახი, ნოდარ მოდუბაძე, რამაზ სურგულაძე, რამაზ ხეცურიაანი, გურამ ფიცხაშვილი, მინდია სალუშვაძე, გიგა გათიაშვილი, თეიმურაზ მურვანიძე, მერაბ ჯიბლაძე, ნანა დევიდარიანი, ანჟო შოთაძე, ვალერი ასათიანი.

ეს ყველაფერი უნდა ვიცოდეთ!

რა უფლებებით ისარგებლებს საქართველოს ახალი პრეზიდენტი?

27 ოქტომბერს საქართველო რიგით მეოთხე პრეზიდენტს აირჩევს, რომელსაც მოქმედი პრეზიდენტისგან განსხვავებით შემცირებული ფუნქციები ექნება. მკითხველთა თხოვნით, ოფიციალური წყაროებიდან გათავაზობთ ჩამონათვალს, თუ რა უფლებებით ისარგებლებს საქართველოს ახალი პრეზიდენტი.

1. სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი;
2. უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას;
3. არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;
4. წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში;
5. მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
6. დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;
7. მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს;
8. მთავრობასთან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;
9. საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;
10. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს;
11. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს, ათავისუფლებს და გადააყენებს თანამდებობის პირებს;



12. ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს;
13. მონაწილეობს ცენტრალური საარჩევ-

14. მთავრობასთან შეთანხმებით პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს;
15. საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას;
16. აცხადებს საომარ მდგომარეობას, დებს ზავს და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;
17. აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;
18. წყვეტს და ანიჭებს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;
19. ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო ნიშნებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;
20. შეიწყალებს მსჯავრდებულთ;
21. დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში დადადგენილი წესით;
22. ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს;
23. ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს;
24. მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს;
25. უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს.

ინფორმაცია

პრემიერი რუსეთის

პოზიციით გაოსაზრულია

საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს ევროპისკენ სწრაფვას დააჩქარებს და ვაჩვენებთ, რომ ვართ ევროპის ნაწილი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ შედეგებისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, ახალი პრეზიდენტის არჩევით ევროპისკენ სწრაფვა გაძლიერდება და ამ პროცესში მონაწილეობას ოპოზიციაც მიიღებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი ვილნიუსის სამიტსაც შეეხო. ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ამ პროცესს ხელს ვერ შეუშლის.

– გაოცებული ვარ რუსეთის პოზიციით, რომელიც ცდილობს, ევროკავშირის საწინააღმდეგო პოზიციის გამოყენებას, თუმცა ამას ღიად ვერ აკეთებს. არ ვფიქრობ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პრაფიერება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას გაართულებს, რადგან რუსეთი მალე დარწმუნდება, რომ ევროკავშირი არის საუკეთესო, დემოკრატიული და ცივილიზებული გაერთიანება და თავადაც შეეცდება მასში გაწევრიანებას, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი კარლ ბილდტსა და რადოსლავ სიკორსკის გუშინ შეხვდა.

ინტერპრესი

© აპითხველი გვყავს

იქნებ გპაღირსოთ დანაპირები?!

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ახალი მთავრობის დაპირებათა მრავალრიცხოვან ნუსხაში შეტანილი იყო ერთი საშვილივი დანაპირები: ახალი პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავის მრავალრიცხოვან ამომრჩევლებს გვპირდებოდა, რომ მერაბ ბერძენიშვილის „დავით აღმაშენებელს“ თავის ადგილზე დააბრუნებდა.



გამოუცნობი ორადგილიანი ველოსიპედი დადგა (ეს „ხელთუქმნელი ქმნილება“ დღესაც იქ გახლავთ და გამოწველათა სამართლიან ხარხარს იწვევს).

ბიძინა ივანიშვილის 84 დანაპირებს შორის (ასეთ ციფრს ასახელებენ „ნაციები“) მითითებული იყო, რომ დიდი გორსა და სხვა ბრძოლებში გამარჯვებული გმირი მეფის ძეგლი თავის ადგილს დაუბრუნდებოდა.

როგორც ჩვენი გაზეთის მეტოხვევებმა იციან პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ლეგენდარული ხელმწიფეს „ყვითელი ბარათი“ უჩვენა და მერაბ ბერძენიშვილის ეს ბრწყინვალე ქანდაკება დილმის საავტომობილო შემოსავლებში გააძვინჯა. „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე კი რალაც

დებოდა. წელიწადი სრულდება ამ დანაპირებიდან, „ქართული ოცნების“ მხურვალე გულშემატყვევებო, მაგრამ დანაპირები არავის ახსოვს. იქნებ ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა აგვისტოს ოცნება.

შალვა ძირია, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვეტირანი ქურნალისკი

მონატრეა

ირინე გაბრატაიონი

... და შა, გასრულდა ორმოცი დღე უშენოდ. ამიერიდან ზეციურ საქართველოს შეურთობი მარადუამოდ. ყველას გვეწახატრები, ჩემო ირინე, ბაგრატიონთა ჩინებული, კეთილდღეობა და ქმნულკეთილ ასულო!

დად ემსახურე სამშობლოს. რამდენი ალგიზრ-დია ქრისტემიერი ცხოვრების ჭეშმარიტ მსახურად, ხელი და გული გაგინვიდა გაჭირ-ვებულათავის. სწორედ ამიტომ დაგვაკლდი ყვე-ლას, შენ ის პიროვნება ხარ, როგორც თბილისზე შეყვარებული ქართველი პოეტი ამბობს – „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“. მე კი ვიტყვი: არა მარტო ქალაქს, არამედ საქრისტიანოს, სრული-ად საქართველოს დააკლდი, ჩემო ირინე.

მუდამ შენზე მოფიქრალი მეუღლე ევბენი ბარათაშვილი

© ალიან-ჩალიანი

შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამომოძიებო ღონისძიების შედეგად, 1967 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი მამუკა კ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვის ბრალ-დებით თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე დააკავეს.

მთლიანად განახლდა ქვემო ქართლის მთავარ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს ახალი საპატრულო მანქანები გადასცეს. ალიან-ჩალიანი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ინტერპრსი

გახსენება

ვალერია ნიორაძე



უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ არის არაჩვეუ-ლებრივი, უაღრესად ნიჭიერი, კეთილშობილი ქალბატონი შა-ლიანია ნიორაძე.

მეგობრები პირველი მასპინძლობის სქოლიან

© გუნავის ავთიაში

უკვდავება წითელ ღვინოში ყოფილა!

გოლდაროინდელი სამეცნიერ-ო აღმოჩენების გათვალისწი-ნებით ცნობილი ლათინური გამ-მთქმა „In vino veritas“ (ჭეშ-მარტობა ღვინოშია), შეიძლება გადავასხვაფეროთ, როგორც „უკვდავება ღვინოშია“. საქმე ისაა, რომ სწორედ ღვინოში მი-აგნეს სიბერესთან ბრძოლის სა-შუალებას, რომელ-საც რესვერატროლი ეწოდება.



ამ ნივთიერებას ყურძნის კანი და წი-თელი ღვინო შეი-ცავს, რის შესახებ მეცნიერებმა დიდი ხანია იციან. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მღრღნელებზე დაყენებულმა ცდებმა აჩ-ვენა, რომ რესვე-რატროლი მათ გუ-ლის დაავადებების-გან, ანთებებისგან კურნავდა, სისხლში შაქრის შემცველო-ბას ამცირებდა და გამძლეობას მატებდა.

დება შეძლეს: ვარაუდობენ, რომ ახალ პრეპარატებს სიბერის შეჩერება და სიცოცხლის 150 წლამდე განხგრძლივება შეუძლიათ!

რის, ავთვისებიანი სიმსივნეების-გან, გულის სისხლდარღვთა სენ-ულებებისგან, დაიბუტისგან, ალ-ცჰემიერისა და პარკინსონის და-ავადებებისგან დაიცავს.

ტორია დამუშავებული, რომლე-ბიც ბოკალ წითელ ღვინოზე ას-ჯერ უფრო ეფექტიანია.

შეილი ილიკო დავითაია, რძლები მაკა ნირდვათ, მაია უჩანეიშვილი, შვილიშვილი ენ-ე გუგა, ირაკლი დავითაი-ები, შვილთაშვილი ნიკუშა, მისწულეები გიორგი, სანდ-რო კობალაძეები ოჯა-ნებო, დეიდაშვილები, მამი-დაშვილები იუნყეებიან რომ გარდაიცვალა

ინფორმაცია თემაში „ახალგაზრდობის ელექსირის“ შექმნაში დარჩენილ სუთ წელი-წაში ორგანიზმის წითელი ღვი-ნით გაჯერებას მეცნიერები მა-ინც არ გვიჩვენებენ. ერთი ლიტრი წითელი ღვინო რესვერატროლს ძალიან მცირე დოზით – 0,15-დან 4,5 მილიგრამამდე შეიცავს, ამდ-ნად ერთაშად ნამეტნავად გაახალგაზრდავება ღვინის ტრფიალებს მაინც არ გამოუვათ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ლაიფსტი

მოგაწვინს ავატარები

ფანტასტიკური ოპერაცია ჩაატარეს ამერიკის შეერთებული შტატების დიუკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა: მათ ერთი ვირთავის თავის ტვინი მეორისას „შეუერთეს“.

შედეგად მეცნიერებმა იმას მიადანეს, რომ ერთი ვირთავა მეორის მოძრაობებს იმეორებდა. მეტიც: ეს უკანასკნელი ყველაფერს პირველის თვალთა ალიქვამდა, ცხოველები ერთგვარ ტელეპათიკად გადაიქცნენ.

არსებითად, ორი თავის ტვინი ერთად გადაიქცა, ხოლო ამის გაკეთება რადიოგადამცემის მეშვეობით შეეძლო, რომელიც ერთი მღრღნელის ნერვულ იმპულსებს მეორეს გადასცემდა, - ამბობს კვლევის ხელმძღვანელი, ცნობილი ნეირობიოლოგი მიგელ ნიკოლელისი.

პარსკვლავი - სპუტარი

ორი ათასი წლის წინათ, უფრო სწორად პირველი ათასწლეულის 185 წელს, რვა თავის განმავლობაში ცის კაბადონს არაჩვეულებრივად კაშკაშა ვარსკვლავი ანათებდა, რომელსაც ძველმა ჩინელმა ასტრონომებმა „ვარსკვლავი - სპუტარი“ უწოდეს.



ვარსკვლავი - სპუტარი დედამიწიდან რვა ათასი სინათლის წლითაა დაშორებული და იმდენ ინფრანითელ სინათლეს აფრქვევს, ადამიანის მისი დანახვა რომ შეეძლოს, ეს კოსმიური ობიექტი

ცაზე ბადრი მთვარისხელა იქნებოდა! საუკუნეთა მანძილზე ასტრონომები იმის ამოხსნას ცდილობდნენ, თუ როგორ მიაღწია ზეახალმა ვარსკვლავმა ამხელა ზომას აფეთქებიდან ასე მოკლე ხანში.

წყალუმი გადაყრილი ხურდა შადრევნებში მონეტების ჩადება ერთ-ერთი ლამაზი რომაული წესია. მის მთავარ წყლის აუზში, ტრევის შადრევანში კი ტურისტები ყოველდღიურად დაახლოებით... სამი ათას ვეროს აგდებენ!



შადრევნის მომვლელები ამ მონეტებს ნიშებით იღებენ, დაგროვილი თანხა კი ქველმოქმედებასა და თავად ძეგლის მოვლაზე იხარჯება.

თუ ყოველდღე პარკიში გაზარკაბა...

პარკ ფიზიკურ ფორმაში ყოფნისთვის საკმარისია კვირაში ერთხელ მაინც ივარჯიშო.

„გონიერი“ თარმოსტატი

კომპანია „ვიფლის“ პორტატიული მედია-ფლეიერთა განყოფილების ყოფილი უფროსი ტონი ფადელი, რომელსაც მუსიკალური ფლეიერის IPOD-ის ნათლიად მოიხსენიებენ, ამჟამად თვითრეგულირებადი თერმოსტატის შექმნაზე მუშაობს.

მარკაბალი სინკი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გაციებისგან ორგანიზმს C ვიტამინზე უკეთ ცინკი იცავს.

ფისო, ფისო, ფისუნია..!

ნიტროსიმას უნივერსიტეტის მკვლევართა დაკვირვებით დადგინდა, რომ დადებითი ემოციები, რომლებსაც ადამიანებში კატის კნუტების, ლეკვების, ბატისა თუ ისეის ჭყუების, წინილების და სხვათა სურათების დათვალიერება იწვევს, მათ შრომისუნარიანობას ამაღლებს.

ციცხვალ ანეკდოტები

— ისეთი მაგარი მანქანა შევიძინე, — ეტრბახება პეტკა ძმაკაცს, — რომ არაფერ არ მაჩერებს, სადაც მივინდა, იქ დავაყენებ, უფრო მეტიც, სადაც კი მივალ, ყველგან ადგილს მითმობენ.



მოგაწონოს, ესე იგი მის ქალიშვილს ყველაფერი რიგზე არა აქვს. მზახნი ჩემი ქმრისთვის საბავშვო ბაღში მიცემული დახასიათება: კარგად ჭამს, სძინავს, სვირნობს. ... 37 წლის შემდეგაც არაფერი არ შეცვლილა.

ჩვენი პრესლაიფსტი

კაქონი ვახუსეპიჯან



„არჩვენებია თუ ძურჯი ბარჩენა?“ სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გამართულ დებატებს სამარცხვინოს უწოდებს.

რა ფარული ჩანაწერი გადავიდა პარკურბურას ირაკლი ალასანიასზე?

რა ფარული ჩანაწერი ჩაუფარდა ხელში „უფლებადამცველთა გაერთიანებას?“ რა გარიგება შედგა ალასანიასა და ახალაიას შორის? ვის დაეხმარა და რის საფასურად, დათა ახალაიას, რომ საზღვარი გადაეკვეთა?

ვინ შეუშუსპაშა კომუნალურ დავალიანებას თბილისელს?


თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაზის, წყლისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს სპეციალურ სამუშაო ჯგუფის შექმნას სთავაზობს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ფოტოფაქტი

რა ისავს თათრ სანს?

მზახნი ფილი გადამჩენ ძალღებზე, რომლებიც ენმარებოდნენ ნანგრევებში ცოცხალი ადამიანების მოძებნაში. ამ ცოტა ხნის წინათ კი აერობორტში ვნახე ტელემონტაჟი ძალღებთან ერთად და, როგორც გაეგე, ისინი ეძებდნენ ნარკოტიკებს მგზავრების ტვირთში. კიდევ რას ემსახურებიან საოჯახო აღზრდილები?



საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორი ალექსი ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86